# საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020122374278723

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**


**# 22/1852** **15 / მარტი / 2023 წ.**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ გორის მუნიციპალიტეტში, მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით, 0.07 ჰა-ზე, 150000 მ$^3$ წელიწადში; 25 წლის ვადით) მოპოვების (ID-55758/84329) სკრინინგის განცხადებას.

ლიცენზია გაიცემა მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე, სამეწარმეო დანიშნულებით გორის მუნიციპალიტეტში, მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, შპს "ვაშლის აგრობაღები"-ს (ს/კ 66.53.06.121) საკუთრებაში რეგისტრირებულ ტერიტორიაზე. გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

აღნიშნული ობიექტი დაშორებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან დაახლოებით 270 კილომეტრით. არ ფიქსირდება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს. ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფ. პაკ. 3 გვ; რუკა 1 გვ; shp.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე